ს ს ი პ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის

დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში ''ინსტიტუტი'') საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრი (შემდგომში ''ცენტრი'') წარმოადგენს ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულს და იმყოფება მის უშუალო დაქვემდებარებაში.

მუხლი 2.

1. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ინსტიტუტის წესდებით, მართვის ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით და ამ დებულებით.

2. ცენტრი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

4. ცენტრის ფინანსები და ქონება განუყოფელია ინსტიტუტის ფინანსების და ქონებისაგან.

5. ცენტრი იყენებს ინსტიტუტის შტამპს, ბეჭედს და თავფურცელს, ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მატერიალურ და სხვა სახის რესურსებს.

6. ცენტრის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი ე. მინდელის №7.

თავი II. ცენტრის მიზნები და ამოცანები

მუხლი 3.

1. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

ა) საკონსტრუქტორო კვლევები და პროექტირება, რომელიც უკავშირდება მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, აღდგენით და სარესტავრაციო სამუშაოებს;

ბ) საპროექტო კვლევითი და საძიებო სამუშაოები, როგორიცაა ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოდეზიური და მარკშეიდერული;

გ) საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირება;

2. ცენტრი, საქართველოს კანონმდებლობით და ინსტიტუტის წესდების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს კომერციული (ეკონომიკური) საქმიანობა, რომელიც ემსახურება ინსტიტუტის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და ატარებს დამხმარე ხასიათს.

3. ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს ინსტიტუტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

4. ცენტრი უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა.

<u>თავი III. ცენტრის სტრუქტურა</u>

მუხლი 4.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საპროექტო-საკონსტრუქტორო ჯგუფი;

ბ) საინჟინრო სისტემების პროექტირების ჯგუფი;

გ) საინჟინრო გეოლოგიური და გეოდეზიური ჯგუფი;

დ) ავტომატიზირებული პროექტირების ჯგუფი.

<u>თავიIV ცენტრის მართვა</u>

მუხლი 5.

1. ცენტრის უფროსი-მთავარი კონსტრუქტორი:

ა) ცენტრის მართვას ახორციელებს ცენტრის უფროსი;

ბ) ცენტრის უფროსს ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს;

გ) ცენტრის უფროსის არჩევა ხდება 4 წლის ვადით;

დ) ცენტრის უფროსი საერთო ხელმძღვანელობას უწევს და წარმართავს მისდამი რწმუნებული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას დებულების შესაბამისად და პასუხს აგებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

ე) ასრულებს ინსტიტუტის პროგრამით, თავდაცვის სამინისტროს და სსიპ ,,დელტას“ სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ცენტრზე განპირობებულ სამუშაოებს;

ვ) ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს;

ზ) ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;

თ) პასუხისმგებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული გეგმისა და დავალების შესრულებაზე;

ი) პასუხისმგებელია ცენტრის სახელით ჯგუფიდან გასულ ოფიციალურ დოკუმენტაციაზე;

კ) პასუხისმგებელია ცენტრის მატერიალური ფასეულობის, შრომის უსაფრთხოებისა და დისციპლინის დაცვაზე;

ლ) ითანხმებს ცენტრის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს;

მ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს ცენტრის თანამშროელთა მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას;

ნ) წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს ცენტრის ბიუჯეტის პროექტს;

ო) კონტროლს უწევს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობას;

პ) წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ცენტრის საქმიანობის ანგარიშს.

2. ცენტრის უფროსი ვალდებულია:

ა) მკაცრად დაიცვას არასაჯარო ინფორმაციის კონფედენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას;

ბ) დაიცვას ინსტიტუტის წესდება და შინაგანაწესი, რომელის წარმოადგენს მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) დაიცვას ინსტიტუტის ინტერესები;

დ) დაიცვას შრომის უსაფრთხოების წესები.

3. ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს და წარადგინოს დასამტკიცებლად მისდამი რწმუნებული სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროგრამა (გეგმა-გრაფიკი);

ბ) ინსტიტუტის დირექციას წარუდგინოს წინადადებები თანამშრომელთა დაწინაურებაზე, დაქვეითებაზე, სამსახურეობრის პასუხიმგებლობაზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლასა და წახალისებაზე;

გ) ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი ჯგუფის უფროსი ცენტრის უფროსის დავალებით.

მუხლი 6.

1. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების უფროსები:

ა) ხელმძღვანელობენ და წარმართავენ სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში ,,ჯგუფის'') საქმიანობას;

ბ) ახორციელებენ ცენტრის უფროსის მიერ გაცემული დავალებებისა და მითითებების დროულად და ეფექტურად შესრულების კონტროლს;

გ) უზრუნველყოფენ ჯგუფზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას;

დ) წარუდგენენ წინადადებებს ცენტრის უფროსს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ე) ცენტრის უფროსს წარუდგენენ რეკომენდაციებს ჯგუფის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და ასევე, წინადადებებს ჯგუფის თანამშრომელთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) ცენტრის უფროსს წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშს ჯგუფის საქმიანობის შესახებ;

თ)ასრულებენ ცენტრის უფროსის სხვა დავალებებს.

2. ცენტრის ჯგუფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს ჯგუფის ერთ-ერთი თანამშრომელი ჯგუფის უფროსის დავალებით.

3.ცენტრის სტრუქტურული ერთეულების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი ცენტრის უფროსის წარდგინებით.

მუხლი 7.

1. სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები:

ა) ასრულებენ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას ინსტიტუტის წესდების, ინსტიტუტის შინაგანაწესის, ცენტრის დებულების და სპეციალური დავალებების შესაბამისად;

ბ) შრომითი ხელშეკრულებიდან და ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებენ საინჟინრო-გეოლოგიურ, მარკშეიდერულ და ტოპო-გეოდეზიურ საძიებო სამუშაოებს. ასრულებენ არქიტექტორულ, სამშენებლო და კონსტრუქციულ

პროექტებს. ახდენენ ობიექტის ელექტრომომარაგების, წყალსადენ-კანალიზაციის, გათბობის და ვენტილაციის სისტემების დაპროექტებას;

გ) ადგენენ ხარჯთაღრიცხვებს, ასრულებენ აზომვებს და ახდენენ მათ ტექნიკურ უზრუნველყოფას;

დ) ვალდებულები არიან დაიცვან ინსტიტუტის წესდება, შინაგანაწესი და ცენტრის დებულება, რომელიც წარმოადგენს მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ე) ვალდებულები არიან მკაცრად დაიცვან არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას;

ვ) ვალდებულები არიან დაიცვან ინსტიტუტის ინტერესები და შრომის უსაფრთხოების წესები;

ზ) ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებენ სხვა დავალებებს.

2. ცენტრის ჯგუფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებენ მის უფლება-მოვალეობებს, ჯგუფის უფროსის დავალებით.

3. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი ცენტრის უფროსის წარდგინებით.

<u>თავი V. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მიმართულებები</u>

მუხლი 8.

1. საპროექტო-საკონსტრუქტორო ჯგუფი:

ა) ადგენს კონსტრუქციების საანგარიშო სქემებს;

ბ) უზრუნველყოფს კონსტრუქციების გაანგარიშებას და დამუშავებას;

გ) ახდენს სამოქალაქო-სამრეწველო საინჟინრო და მიწისქვესშა შენობა- ნაგებობების არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტების შედგენა-დამუშავებას;

დ) უზრუნველყოფს ობიექტის პროექტირების და მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას;

ე) უზრუნველყოფს დაპროექტების პროცესის ერთიანი ციკლის ორგანიზებას;

ვ) ადგენს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტებს;

ზ) ადგენს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ლოკალურ-რესურსული მეთოდით მოქმედი ნორმატიული აქტებით და აგრეთვე მიმდინარე საბაზრო ფასებით;

თ) განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს და საჭირო მასალების რაოდენობას;

ი) ადგენს დეფექტური აქტებს;

კ) ახორციელებს საინჟინრო-კვლევით სამუშაოებს;

ლ) ანხორციელებს საავტორო ზედამხედველობას.

2. ასრულებს ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა დავალებებს.

მუხლი 9.

1. საინჟინრო სისტემების პროექტირების ჯგუფი:

ა) ასრულებს მშენებლობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების შერჩევას და მათი ექსპლუატაციის კონტროლს:

ბ) ასრულებს საინჟინრო ნაგებობების ენერგომომარაგების პროექტების შედგენას;

გ) ასრულებს საინჟინრო ნაგებობების წყალ-საკანალიზაციო მომარაგების პროექტების შედგენას;

დ) ასრულებს საინჟინრო ნაგებობების გათბობბით უზრუნველყოფის პროექტების შედგენას;

ე) ასრულებს საინჟინრო ნაგებობების ვენტილაციით უზრუნველყოფის პროექტების შედგენას და მათი თბოფიზიკური და აეროდინამიკური გაანგარიშებების განხორციელებას. სავენტილაციო სისტემების დაპროექტებას კლიმატკონტროლით და მათ გარეშე;

ვ) ახდენს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შედგენას;

ზ) ახორციელებს საინჟინრო-კვლევით სამუშაოებს.

2. ასრულებს ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა დავალებებს.

მუხლი 10.

1. საინჟინრო გეოლოგიური და გეოდეზიური ჯგუფი:

ა) ქმნის საყრდენ გეოდეზიურ ქსელს და განსაზღვრავს გეოდეზიურ წერტილებს;

ბ) ახდენს გეოდეზიური წერტილების ადგილზე პოვნას და საველე ტოპოგრაფიულ აგეგმვას;

გ) ახდენს აზომვის შედეგების კამერალურ დამუშავებას და უზრუნველყოფს მის გრაფიკულად გამოსახვას;

დ) აწარმოებს საინჟინრო ნაგებობათა დაკვალვით სამუშაოებს და ახდენს გეოდეზიურ კონტროლს;

ე) ახდენს ორიენტირების ამოცანების გადაწყვეტას;

ვ) ქმნის მარკშეიდერულ ქსელს და განსაზღვრავს მარკშეიდერულ წერტილებს;

ზ) აწარმოებს მიწისქვეშა აგეგმვით სამუშაოებს და უზრუნველყოფს მათ გრაფიკულად გამოსახვას;

თ) ახორციელებს გვირაბებისათვის მიმართულების მიცემას და მარკშეიდერულ კონტროლს;

ი) აწარმოებს მიწისქვეშა ნაგებობათა დაკვალვით სამუშაოებს და ასევე ახდენს მარკშეიდერულ კონტროლს;

კ) ატარებს საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევით სამუშაოებს;

ლ) კვლევების შედეგების საფუძველზე ამზადებს საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას;

2. ასრულებს ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა დავალებებს.

მუხლი 11.

1. ავტომატიზირებული პროექტირების ჯგუფი:

ა) აგროვებს პროექტირებისათვის აუცილებელ საწყისს მონაცემებს;

ბ) ადგენს და ამუშავებს საპროექტო დოკუმენტაციას თანამედროვე კომპიუტერული სისტემების საშუალებით;

გ) ამზადებს საპროექტო დოკუმენტაციას დამკვეთისათვის გადასაცემად;

დ) აწარმოებს აზომვით სამუშაოებს და ადგენს დეფექტურ აქტებს;

2. ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს სხვა დავალებებს.

<u>თავიVI. ცენტრის ფინანსები და ბიუჯეტი</u>

მუხლი 12.

1. ინსტიტუტის დირექტორი შეიმუშავებს ცენტრის საშტატო ნუსხას და განსაზღვრავს თანამდებობრივი სარგოს ოდენობას.
2. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ინსტიტუტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ხარჯები;

ბ) სამეცნიერო გრანტებით მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

ე) შემოწირულობები.

3 .ცენტრის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება ინსიტუტის ბიუჯეტში.

თავი VII ცენტრის საქმიანობის კონტროლი

მუხლი 13.

1. ცენტრი ექვემდებარება ინსტიტუტის ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და ეფექტურობის შემოწმებას.

2. ცენტრი ვალდებულია, კონტროლის განსახორციელებლად ინსტიტუტის ადმინისტრაციას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.

3. ინსტიტუტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის უფროსის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

თავი VIII ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 14.

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15.

1. ცენტრის დებულებას ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

2. ცენტრის დებულების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

3. ამ დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ინსტიტუტის-საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილების დებულება.